საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩრდილო ატლანტიკის საბჭოს ბრიუსელის შეხვედრის <u>საბოლოო კომუნიკე</u>

18. ჩვენ ვადასტურებთ უკრაინისა და საქართველოს შესახებ ჩვენი სახელმწიფოების მეთაურთა მიერ ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილებების ყველა ელემენტს. ორივე სახელმწიფოში არის წინსვლა, თუმცა ორივეს კვლავ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ შემდგომი დახმარება გავუწიოთ ორივე ქვეყანას საჭირო რეფორმების გატარებაში, რადგან ისინი წინ მიიწევიან ნატოს წევრობის გზაზე.

19. ნატო გააფართოვებს კონსულტაციებს, დახმარებას და მხარდაჭერას რეფორმების განხორციელებაში ნატო-უკრაინისა და ნატო-საქართველოს კომისიების ფარგლებში, რომლებიც ცენტრალურ როლს ასრულებენ ბუქარესტის სამიტზე ჩამოყალიბებული პროცესის ზედამხედველობაში. ამ კონტექსტში, ჩვენ, ჩვენს უკრაინელ კოლეგებთან ერთად, გადავწყვიტეთ ცვლილებები შევიტანოთ ნატო-უკრაინის წესდებაში, რომელიც განსაკუთრებულ პარტნიორობას ეხება, რათა გამოიკვეთოს ნატო-უკრაინის კომისიის გადამწყვეტი როლი, რაც უკვე მოხდა ნატო-საქართველოს კომისიასთან მიმართებით. ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ გავაძლიეროთ ნატოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ოფისები კიევსა და თბილისში. და ბოლოს, შემდგომი გადაწყვეტილებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რაც შესაძლოა წევრობის სამოქმედო გეგმას მოჰყვეს, ჩვენ შევთანხმდით, რომ ნატო-საქართველოს და ნატო-უკრაინის კომისიებთან შემუშავდება ყოველწლიური ეროვნული პროგრამები, რომლებიც საქართველოსა და უკრაინას დაეხმარება რეფორმების წინსვლაში, რომლებსაც ყოველწლიურად გააკონტროლებს ალიანსი.

24. მაშინ როდესაც ჩვენ გვჯერა, რომ ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები, რომლებიც კონსტრუქციულ დიალოგზე და თანამშრომლობაზეა დაფუძნებული (იმ საკითხების ჩათვლით, რომლებიც ყოფენ რუსეთსა და ნატოს), რუსეთის ბოლოდროინდელი მოქმედებები და განცხადებები სერიოზულად აკნინებს ჩვენს ნდობას მოსკოვის ერთგულების მიმართ ნატო-რუსეთის ურთიერთობების ფუნდამენტური საფუძვლებისადმი. რუსეთის მიერ საქართველოსთან კონფლიქტისას არაპროპორციული სამხედრო მოქმედებების გამოყენების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ჩვეულისაგან განსხვავებული რაიმე ურთიერთობები რუსეთთან არ გვექნებოდა. რუსეთის მიერ შემდგომში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების აღიარება, რასაც ჩვენ ვგმობთ და მოვუწოდებთ რუსებს გააუქმოს იგი, ეწინააღმდეგება ეუთოს პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება ევროპის უსაფრთხოება და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, რომლებიც რუსეთს დადასტურებული აქვს. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ ერთგულებას ამ ღირებულებებისა და პრინციპების მიმართ და მოვუწოდებთ რუსეთს გამოავლინოს მისი ერთგულება მათ მიმართ. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს თავი შეიკავოს კონფრონტაციული განცხადებებისაგან, გავლენის სფეროების შესახებ განცხადებების ჩათვლით, და დაშინებებისაგან ალიანსისა და პარტნიორების მიმართ, მაგალითად, როგორიცაა, მოკლე დისტანციის რაკეტების განლაგება კალინინგრადის ოლქში. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ რუსეთს სრულად განახორციელოს საქართველოსთან შეთანხმებული ვალდებულებები, რომლებიც 2008 წლის 12 აგვისტოს და 8 სექტემბერს გაფორმდა ევროკავშირის მედიატორობით. საქართველოს კონტექსტში, რუსეთის მიერ იმ ტერიტორიებიდან გასვლა, რაზედაც თვით მისცა თანხმობა, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება და ჩვენ მივესალმებით ამ ვალდებულების შესრულებას, იმავდროულად ხაზგასმით მივუთითებთ საერთაშორისო მონიტორთა სრული ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე და შევახსენებთ რუსეთს მის პასუხისმგებლობებს უსაფრთხოებისა და წესრიგის თვალსაზრისით. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონსტრუქციულ გაცვლებს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიაში ჩართულ ყველა მხარეს შორის, რაც მიზანდ ისახავს სწრაფ პროგრესს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების სფეროში. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, ასევე სხვა აქტორებს, გააგრძელონ კონსტრუქციული მონაწილეობა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარების პროცესში ჟენევის მოლაპარაკებების განახლებისთანავე.

35. ჩვენ კვლავ გვაშფოთებს დაუსრულებელი კონფლიქტები სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და მოლდოვას დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა, ამ პრინციპებზე

დაყრდნობით, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება რეგიონის მთლიანი სტაბილურობისთვის. ჩვენ კვლავ მხარს დავუჭერთ ამ მიზნის მიღწევას და მზად ვართ კონსულტაციები დავიწყოთ ამ ქვეყნებთან რეგიონული მნშვნელობის საკითხებზე. ჩვენ ასევე დავეხმარებით ამ ქვეყნებს კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მექანიზმების სრულყოფილ გამოყენებაში.

2008 წლის 3-4 დეკემბერი.

（http://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_46247.htm）